MVNO ASSOCIATION Georgia

27.12.2022

თბილისი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

თავმჯდომარეს ბ-ნ კ. ბექაურს

ბატონო კახი,

მობილური ვირტუალური ოპერატორების ასოციაცია (MVNO) მოგმართავთ თხოვნით, ძალაში დატოვოთ 2019 წლის 31 დეკემბრის გ-20-9/156 გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე მობილურ ოპერატორებს დაეკისრათ ვირტუალური ოპერატორის საკუთარ ქსელზე დაშვების ვალდებულება.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების და ასოციაციის წევრების დიდი დაინტერესებისა ოპერირება დავიწყოთ MVNO მოდელით, რაც გამოიხატება როგორც ჩვენი მხრიდან გაკეთებული არაერთი საჯარო განცხადებით თუ ჩადებული საკმაოდ დიდი ფინანსური ინვესტიციით, მობილურ ოპერატორებთან მოლაპარაკება წლებია უკვე მაინც პასიურ რეჟიმში მიმდინარეობს. უფრო მეტიც, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტები (განსაკუთრებით სს ,,სილქნეტი) ხშირ შემთხვევაში მსურველ ოპერატორებთან კავშირზე გამოდიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ქსელზე დაშვების წინასწარი რეგულაციის საკითხის აქტუალობის პროვოცირება ხდება ჩვენი, მედიის ან თქვენი მხრიდან.

შესაბამისად, გვიჩნდება განცდა, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება MVNO მოდელის იმპლემენტირების საკითხს ნაკლებად მნიშვნელოვანს გახდის ყველასთვის, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ მეტ-ნაკლებად დაძრული პროცესებიც კი გაჩერდება და კიდევ უფრო გაურკვეველი დროით გადაიდება ქართულ ბაზარზე რეალური MVNO-ს შექმნა. ეს კი თავის მხრივ აპრიორი გულისხმობს ქართველი მომხმარებლებისთვის არსებული კაბალური პირობების ხელშეუხებლობასა და სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგრესს.

აქვე ხაზგასმით გვინა აღვნიშნოთ, რომ კაბალურ პირობებში არ ვგულისხმობთ მხოლოდ საფასო პოლიტიკას, ტარიფებზე არანაკლებ ყურადსაღებია აბონენტებზე მორგებული სერვისების

შ-22-6/4729
28.12.22
2+1ფ

MVNO ASSOCIATION Georgia

არარსებობა ჩვენს ქვეყანაში. ქვეყანაში 3 მობილური ოპერატორია და არცერთი არ ფიქრობს მომხმარებელზე ორიენტირებული და მომხმარებლის საჭიროებაზე გათვლილი სერვისების შექმნას, ერთადერთი რაც მათ ერთმანეთისგან განასხვავებთ სწორედ მომსახურების ღირებულებაა, რაც ჯანსაღ სიტუაციაში არავისთვის არ უნდა იყოს მისაღები.

მიგვაჩნია, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უმთავრესი მისია სწორედ კომუნიკაციების სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნაა და იმაშიც ღრმად ვართ დარწმუნებულები, რომ MVNO მოდელის იმპლემენტაცია ამ მისიის შესრულების უმთავრესი გზაა.

ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, დატოვოთ უცვლელი გ-20-9/156 გადაწყვეტილება. ჩვენთვის, MVNO-ს მსურველებისთვის ქსელზე დაშვების ვალდებულების არსებობა ერთდაერთი ბერკეტია, რაც გვიქმნის იმის განცდას, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ქმედებების გაკეთებას, კიდევ უფრო მეტ ფინანსურ ინვესტიციას, საერთაშორისო ვენდორებთან მოლაპარაკებას, დროითი რესურსის დახარჯვას ნამდვილად აქვს აზრი.

პატივისცემით,

მობილური ვირტუალური ოპერატორების ასოციაციის თავმჯდომარე

ანრი კვახაძე